


შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ერთერთია იმ 6 უნივერსიტეტთან, რომელიც U-Multirank-ის შეფასების სისტემაში საქართველოდანაა შეყვანილი. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი არის პატარა კერძო უნივერსიტეტი, რომელიც მდებარეობს თბილისში. იგი დაფუძნდა 1995 წელს. საგნების და საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვნების გათვალისწინებით შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი დიდი მასშტაბის საგანმანათლებლო ინსტიტუციაა. უნივერსიტეტი გამოირჩევა მასში მოსწავლე უცხოელი სტუდენტების მაღალი რაოდენობით. უნივერსიტეტის აქტივობები და პერფორმანსი შეფასებულია U-Multirank-ის მაჩვენებლების მიხედვით (მოცემული ქვემოთ). როგორც ჩართზე ვხედავთ, უნივერსიტეტი აჩვენებს უმაღლესი დონის პერფორმანსს სხვადასხვა ინდიკატორებთან მიმართებაში, მათ შორის, უმაღლესი 7 “A” (მალიან კარგი) შეფასებით. უნივერსიტეტის პერფორმანსის დეტალური მიმოხილვისთვის იხილეთ ქვემოთ მოცემული პერფორმანსის შეფასების ცხრილის სრული ვარიანტი.



U-Multirank-ის შეფასების სისტემა შემუშავებული და დანერგულია ევროკომისიის ინიციატივით, დამოუკიდებელი კონსორციუმის მიერ, რომელსაც ახორციელებენ: უმაღლესი განათლების ცენტრი (CHE, გერმანია), უმაღლესი განათლების პოლიტიკის შესწავლის ცენტრი (CHEPS) ტვენტის უნივერსიტეტის ბაზაზე (University of Twente) და მეცნიერებისა და ტექნოლოგიების შესწავლის ცენტრი (CWTS, Leiden University) ლეიდენის უნივერსიტეტის ბაზაზე (ორივე ჩამოთვლილთაგანი მდებარეობს ჰოლანდიაში), ასევე, ცოდნისა და განვითარების ფონდი (Fundación CYD, ესპანეთი). კონსორციუმს ხელმძღვანელობენ პროფ.

ფრანს ვან ვუთი (უმაღლესი განათლების პოლიტიკის შესწავლის ცენტრი) და დოქტორი ფრანკ ზიგელი (უმაღლესი განათლების ცენტრი).

U-Multirank არის მრავალგანზომილებიანი, სტუდენტებზე ორიენტირებული საერთაშორისო უნივერსიტეტი. იგი ერთმანეთს ადარებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პერფორმანსებს. შედარება ხდება ქვემოთ ჩამოთვლილ ხუთ სფეროში:

- სწავლება და სწავლა
- კვლევა, ცოდნის გადაცემა
- საერთაშორისო ორიენტაცია
- რეგიონალური ჩართულობა

U-Multirank-ის რანჟირების მიხედვით, 2018-ში შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა მიიღო 7 “ A “ (ძალიან კარგი) და B “კარგი” შეფასება შემდეგ სფეროებში:

სწავლა და სწავლება: საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დროულად დასრულება;

კვლევა: საგარეო კვლევებიდან შემოსავალი; არტიფაქტების ინდექსები;

ცოდნის გადაცემა: შვილობილი კომპანიები;

საერთაშორისო ორიენტაცია: ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამები;

რეგიონალური ჩართულობა: ლოკალურად დასაქმებული სტუდენტები; სტაჟირებები სტუდენტებისთვის ლოკალური მასშტაბით; სტრატეგიული კვლევითი პარტნიორობა ლოკალური მასშტაბით

U-Multirank-ის შეფასების სისტემა იყენებს შეფასების შემდეგ ფორმას: A-დან E- ს ჩათვლით, სადაც A (ძალიან კარგი) და E (ძალიან ცუდი), შესაბამისად. U-Multirank-ის შეფასების სისტემა პირველად მომზადდა 2014-ში. მის ფარგლებში შეფასდა 850-ზე მეტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და 5,000 საგანმანათლებლო პროგრამა 70-ზე მეტი ქვეყნიდან. U-Multirank-ის შეფასების სისტემის განვითარების თანადაფინანსება განახორციელა ევროკავშირმა.